საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2713
27/04/2026

2713-01-2-202604271731

ლიანა აბხაზავას (პ/ნ 04001009435)
მის.: ამბროულაური, ს.ურავი
ელ-ფოსტა: gvantsaseuli@yahoo.com

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოვიდა მოქალაქე 2026 წლის 02 აპრილის №01/3043 და სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 27 აპრილის №04/625 ბრძანებით, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის- ლიანა აბხაზავას (პ/ნ 04001009435) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

ზემოაღნიშნული განცხადების თანახმად, მომხმარებელმა facebook პლატფორმაზე არსებული Gvantsaseuli-გვანცასეული (ვებ-გვერდის : https://www.facebook.com/profile.php?id=100063467111782) შეიძინა პიჯაკი, რომელიც დღემდე არ მიუღია. მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა მოვაჭრე არ რეაგირებს მომხმარებლის პრეტენზიაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:

ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით მომხმარებლის განცხადებას და სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 27 აპრილის №04/625 ბრძანების ასლს. ამასთან პროცედურის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გთხოვთ, წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, ამავე ვადაში გთხოვთ მოგვაწოდოთ facebook პლატფორმაზე არსებული გვერდის - Gvantsaseuli-გვანცასეული სავაჭრო პოლიტიკა დისტანციური ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი : „18“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/625
27/04/2026

ბრძანება

625-01-4-202604271241

განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. 2026 წლის 02 აპრილის №01/3043 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ლიანა აბხაზავას (პ/ნ 04001009435) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 20 აპრილის №03/675 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE